საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა / Georgian State Electrosystem

საქართველო, თბილისი 0105, ბარათაშვილის 2, Baratashvili str., Tbilisi 0105, Georgia; ტელ./ფაქსი/Tel/Fax: +995 322 983704; +995 322 510101

N 3445/05

3445-05-2-202108112212

11/08/2021

შპს „ვასაძის პურის“-ს დირექტორის მინდობილ პირს ბატონ ბადრი ბიბილეიშვილს
ტელ: 593 31 64 66

ბატონო ბადრი,

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ში (სსე) შემოსულია თქვენი 03.08.2021 წლის N4249 განცხადება, რომელიც ეხება N01.18.13.030.027 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე საკონდიტრო საწარმოს მშენებლობის საკითხს. აღნიშნული საკითხის საპასუხოდ გაცნობებთ შემდეგს:

N01.18.13.030.027 მიწის ნაკვეთის გარკვეული ნაწილი მოქცეულია სსე–ს 220 ათასი ვოლტი (220 კვ) საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის (სეგხ-ს) ,,ნავთლუღი“–ს სადენების ქვეშ და ხაზის დაცვის ზონაში. თქვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით მიწის ნაკვეთზე განსათავსებელი საკონდიტრო საწარმო (შენობა-ნაგებობა) მდებარეობს სეგხ „ნავთლუღის“–ს დაცვის ზონის მიღმა და შესაბამისად არ ეწინააღმდეგება სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ინტერესებს. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ თანახმაა, მოქმედი (მათ შორის, ენერგეტიკული) კანონმდებლობის მოთხოვნათა უპირობო დაცვით განხორციელდეს საპროექტო შენობა–ნაგებობის მშენებლობა სეგხ „ნავთლუღი“-ს დაცვის ზონის მიღმა სსე-ში წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით.

აქვე გაცნობებთ, რომ 220 კვ ძაბვის ხაზობრივი ნაგებობა **„განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“** საქართველოს მთავრობის 31.05.2019 წ. N257 დადგენილების მუხლი 50-ის „მე-2“ პუნქტის „ჯ“ ქვეპუნქტის მიხედვით არის განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტი, რომელიც ხასიათდება რისკის მომეტებული ფაქტორით. **„საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-ს** 96-ე მუხლის „1-ლი“ პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ შენობა-ნაგებობას მინიჭებული აქვს მე-5 კლასის ნაგებობის სტატუსი. შესაბამისად, სეგხ-ს დაცვის ზონაში სამუშაოების ჩატარებისთვის კანონმდებლობით დადგენილია დაცვის სპეციალური ზომები, რაც რეგულირდება **საქართველოს მთავრობის 24.12.2013 წ. N 366 დადგენილებით: „ელექტრული**

ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“.

1. ამავე **დადგენილების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის ზონად დადგენილია, საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის გასწვრივ მიწის ნაკვეთი და საჰაერო სივრცე, შემოსაზღვრული ვერტიკალური სიბრტყეებით, რომლებიც ხაზის ორივე მხარეს გადაუხრელ მდგომარეობაში მყოფი განაპირა სადენებიდან დაშორებულია 220 კვ ძაბვის სეგხ-ს შემთხვევაში 25 (ოცდახუთი) მეტრით.**

2. მიწათმოსარგებლე ვალდებულია ხელი არ შეუშალოს ელექტრული ქსელის ხაზობრივ ნაგებობებთან მომსახურე პერსონალისა და ტექნიკის შეუფერხებელ მისვლას.

3. სეგხ–ის დაცვის ზონაში აკრძალულია ნებისმიერი ქმედება, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს ელექტრული ქსელის ხაზობრივი ნაგებობის შეუფერხებელი მუშაობის მოშლა (აკრძალულ სამუშაოთა ჩამონათვალი იხილეთ წესების მე–4 მუხლის პირველ პუნქტში);

4. აკრძალულია სეგხ–ის დაცვის ზონაში რამე სახის შენობა–ნაგებობის განთავსება და ნებისმიერი დანიშნულების ადამიანთა/ცხოველთა თავშესაყრელი ადგილების მოწყობა;

5. საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის დაცვის ზონაში აკრძალულია ჭავლსატყორცნი სარწყავი სისტემის მოწყობა, ასევე სარწყავების მოწყობა გაშხეფების გზით;

6. უპირობოდ უზრუნველყოფილი უნდა იყოს სეგხ–ის ანძებთან, სადენებთან და ხაზის ნებისმიერ მონაკვეთთან მისასვლელი გზების არსებობა-შენარჩუნება, დღე–ღამის ნებისმიერ დროს მანქანა–მექანიზმების თავმოყრისა და ხაზის გეგმიური/კაპიტალური შეკეთების, გადაიარაღების, ავარიულ–აღდგენითი სამუშაოების შეუზღუდავად ჩატარების შესაძლებლობით;

7. დაცვის ზონაში მიწის ნაკვეთი დასაშვებია შემოიღობოს მსუბუქი/მარტივი სახის შემოღობვით: დენგაუმტარი, დიელექტრიკული მასალისაგან, ხოლო, მიწის ნაკვეთის დენგამტარი მასალით შემოღობვის შემთხვევაში, დაცული იქნეს შესაბამისი მოთხოვნები (დამიწების კონტურის მოწყობა და სხვა) რათა, თავიდან იქნას აცილებული ძაბვის გადასვლა შემოღობვაზე და საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელი იყოს შემოღობვის დაუბრკოლებლად გახსნა, მანქანა მექანიზმების გადაადგილებისათვის.

8. სეგხ-ის დაცვის ზონაში ცალკეული სამუშაოები (შესაბამისი პირობების დაცვით) შესაძლებელია ჩატარდეს მხოლოდ ელექტროგადამცემი ხაზის მფლობელი პირის წინასწარი წერილობითი თანხმობის შემთხვევაში. უსაფრთხოების მიზნით, სამუშაოთა წარმოებისას სავალდებულოა ელექტრული ქსელის მფლობელი პირის წარმომადგენლის დასწრება;

9. მიწის ნაკვეთი, რომელიც მოქცეულია სეგხ–ის დაცვის ზონაში, დასაშვებია გამოყენებული იქნას სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით 1 წლიანი მცენარეების და მრავალწლიანი 4 მ-მდე სიმაღლის ხეების ნარგავებისათვის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;

10. სეგხ-ის სადენების ქვეშ, დაცვის ზონაში და მის სიახლოვეს სამუშაოთა წარმოებისას ნებისმიერ შემთხვევში,სავალდებულოდ დაცული უნდა იქნას საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N366 ბრძანებულებით დამტკიცებული წესების („ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობის დაცვის წესი და მათი დაცვის ზონები“) სხვა დანარჩენი მოთხოვნებიც.

დამატებით გაცნობებთ, რომ დაუშვებელია მანქანა-მექანიზმების გადაადგილება ხაზის დაცვის ზონაში სსე-სთან შეთანხმების გარეშე.

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ უფლებას იტოვებს, მოქმედი წესებისა და უსაფრთხოების მოთხოვნების თქვენს მიერ უგულებელყოფის შემთხვევაში მიმართოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზომებს.

დანართი: სიტუაციური გეგმა - 1 (ერთი) გვერდი.

პატივისცემით,

უჩა უჩანეიშვილი

გენერალური დირექტორი


სეგმ ნაკვთული 2
მიწის ნაკვეთი
დაცვის ზონა
ანძა
დაშორების მანძილი
86
X:492,704.889, Y:4,609,845.932
X:492,716.164, Y:4,609,853.366
X:492,708.191, Y:4,609,840.923
X:492,699.174, Y: 4,609,834.99
ს/კ 01.18.13.030.027
ნავთლუღი
85
Source: Esri, Maxar, GeoEye, Earthstar Geographics, CNES/Airbus DS, USDA, USGS, AeroGRID, IGN, and the GIS User Community

№ 0621-0542899 D 11 08 2021

ბატონ ბადრი ბიბილეიშვილს
მისამართი: მანგლისის ქ. N11
ელ-ფოსტა: badribibi1978@gmail.com
ტელეფონი: 593 31 64 66

ბატონო ბადრი,

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ (შემდგომში „კომპანია“) განიხილა თქვენი განცხადება („კომპანიაში“ რეგისტრირებული IN21-0540208, დათარიღებული 02/08/2021წ.) სოფელ ფონიჭალაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.18.13.03.027) საკონდიტრო საწარმოს მშენებლობის გენ. გეგმის შეთანხმების შესახებ.

გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე გაედინება „კომპანიის“ ბალანსზე რიცხული წყალსადენის D=40 მმ-იანი და წყალარინების D=500 მმ-იანი ქსელები, რომელთა მიმართ დაცული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და წესებით დადგენილი მოთხოვნები.

თქვენს მიერ წარმოდგენილი გენ. გეგმა შეთანხმებულია „კომპანიის“ შესაბამის სამსახურთან. „კომპანია“ არ არის წინააღმდეგი განახორციელოთ სამშენებლო სამუშაოები წარმოდგენილი გენ. გეგმის შესაბამისად.

მშენებლობის ნებართვის გაცემის აუცილებელ წინა-პირობას წარმოადგენს ქსელის მომსახურების საჭიროების ან დაზიანების შემთხვევაში „კომპანიის“ შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებს, დღე-ღამის ნებისმიერ დროს მიეცეთ საშუალება ტერიტორიაზე შესვლისა და მძიმე სპეცტექნიკის გამოყენებით სამუშაოების ჩატარების.

ასევე გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიაზე შესაძლებელია გადიოდეს კერძო მფლობელობაში არსებული წყალსადენ-წყალარინების ქსელები, რომელთა შესახებ ,,კომპანია“ ინფორმაციას არ ფლობს.

ქსელის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, სამუშაოების დაწყების წინ გთხოვთ, დაუკავშირდეთ ,,კომპანიის“ წარმომადგენელს: მთაწმინდა-კრწანისის ბიზნეს ცენტრის მენეჯერი თემურ წითლიძე. ტელ: 599 58 98 67;

დანართი: საპროექტო დოკუმენტაცია - 1 (ერთი) ფურცელი

პატივისცემით,

გიორგი სვანიშვილი
კომერციული დირექტორი

შემსრულებელი: ჯ. ჩაჩხალია; გ. მურღულია
ელ-ფოსტა: jchachkhalia@gwp.ge; gmurgulia@gwp.ge


გენგეგმა
საპროექტო შენობა
საპროექტო შენობის კოორდინატი
1. X 492704.8892
Y 4609845.932
2. X 492716.164
Y 4609853.366
3. X 492708.191
Y 4609840.923
4. X 492699.174
Y 4609834.99
17.35
18.96
28.22
01.01.781
პირობითი ნიშნები
შ.პ.ს "კადასტრი XXI"
დირექტორი
შეასრულა
მ. 1:500